



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

არჩილური

არჩილური, ქართული ლექსის სახეობა, მწერლების, პოეტების, საზოგადო მოღვაწეების ლექსად დაწერილი დახასიათება. დაკავშირებულია ნ. დადიანის (1844–96) სახელთან, რმაც თანამედროვე მწერლები დაახასიათა აკროსტიქული ლექსებით (კიდურწერილობით იკითხება გვარი, სახელი ან ფსევდონიმი მწერლისა, რ-საც იგი ეძღვნება). ავტორმა მათ დაარქვა „არჩილური შვიდთავი“ ანუ „საამდროვო გამოცანები“ და აქვეყნებდა „ივერიაში“ 90-იან წლებში. 1897 წ. დადიანის აკროსტიქები „საამდროვო გამოცანების“ სახელწოდებით გამოიცა ქუთაისში. ტერმინი „ა.“ წარმოდგება მეფე-პოეტის არჩილის თხზულების „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ ხასიათიდან. პოემის მეორე კარში – „ძველთა და ახალთა საქართველოს მელექსეთა“ მეფე-კრიტიკოსი თითო სტროფით ახასიათებს და აფასებს ძველ და თავისი დროის ქართველ მწერლებს.

ლიტ.: ბ ა რ ა მ ი ძ ე ალ., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 2, თბ., 1940; ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე ჯ., ქართული კრიტიკის ისტორია, გამოც. მე-2, ტ. 1, თბ., 1974; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი გ., წიგნი და გამომცემელი, ბათ., 1980.

გ. ჯავახიშვილი
